# თეატრი და ცხოვრება

დაარსების წელიწადი მეათე, გამოცემის მერვე

№ 14

ფასი 15 მანეთი

გაუმარჯოს თავისუფალ ხელოვნებას თავისუფალ საქართველოში!

გაუმარჯოს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას!

„თეატრი და ცხოვრება“

წლიურად 500 მან., ნახევარი წლით 250 მან. თითო ნომერი — 15 მან. ხელის მოწერა მიიღება: თბილისში, ბაზრის ქუჩა № 20 ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ; ფოსტით: თბილისი, რედაქცია „თეატრი და ცხოვრება“ იოსებ იმედაშვილს. ტელეფონი № 4—73.

სათეატრო, სალიტერატურო, სამუსიკო, სამხატვრო და საზოგადოებრივ შინაარსის ყოველკვირეული ჟურნალი.

დაარსდა 1910 წ. | კვირა, აპრილის 18 | გამოცემა 1920 წ.




**სოფიო რომანიშვილი — დგებუაძისა**

სახალხო თეატრის სცენაზე მოღვაწეობის 20 წ. შეუსრულდა. სახალხო წარმოდგენების წრე იუბილეს უმართავს სახალხო სახლში

(ი ხ. ამავე ნომერში გ. ჯაბაურის წერილი „სოფიო რომანიშვილი — დგებუაძისა“, 4 გვ.)

# მოსაქცევზე

როდესაც ჯანყ-ბურუსით მოცულ ღამით ტყე-ტყე მთისაკენ ასდიხარ, გული გეძმარება, მაგრამ რა წამს მიაღწევ ალიონს, მოსაქცევს, სადაც გარიჟრაჟისას მტრედის ფერი ცა გაგიღიმებს, განუზომელ სიხარულით ივსები, ღამით გადატანილი მწუხარება შვებად გეცვლება.

ასეთია დღეს ჩემი სულიერი ვითარებაც.

ჟურ. „თეატრი და ცხოვრება"-ს განვლილი მობარდნილი გზა, მისი წარსული, რომელიც, შეიძლება, ზოგჯერ ვერ იდგა თავისს შესაფერ დონეზე, დიდის გულუხვობით დააფასეს ჩვენის მწერლობის, თეატრისა და პოლიტიკურ ცხოვრების დამსახურებულმა მოღვაწეებმა...

ივ. გომართელი, ეკ. გაბაშვილისა, შალვა დადიანი, ტრ. რამიშვილი, ალ. მირიანიშვილი, გ. ჯაბადარი, პ. კეკელია და სხ.,—აი სახელები, რომელთაც უანგაროდ, მიუდგომლად და სისწორით შეაფასეს ჟურნალის გასული ათი წლის ნაშრომი.

როგორც სიცხისაგან დამჭკნარ მდელოს ცის ნამი მოაბრუნებს, გოლვით შეწუხებულ ხეს წყალი გააცოცხლებს, აგრე მესალბუნა ყველა მათი სიტყვა...

და ვითარცა ათის წლის წინად გატაცებით დავიწყე ჟურნალის გამოცემა, აგრედვე ქაბუკურის ხალისით განვაგრძობ დღეს მეორე ათეულის დასაწყისში...

მაგრამ, როგორც ათის წლის წინად, დღესაც ძნელია ერთი კაცის მუშაობა.

მით უმეტეს, რომ ჩვენმა საზოგადოებრივმა ცხოვრებამ უფრო გარკვეული სახე მიიღო, დამოუკიდებლობა მოვიპოვეთ, ხელოვნების ყოველი დარგი ჩამოყალიბდა, საზოგადოების გემო და მოთხოვნილება გაფართოვდა და მეტი პასუხისმგებლობა გვეკისრება.

ამიერიდან ხელოვნებამ კიდევ უფრო მაღლა უნდა ასწიოს დროშა თვისი, გაფართოვდა ასპარეზი მისი და, მაშასადამე, უფრო შემოქმედებითი მუშაობა გვმართებს.

ამას ვგრძნობთ. ამ გზით წარიმართება ჩვენი შემდეგი ნაბიჯები, იმ იმედით, რომ ჩვენი მკითხველი საზოგადოება და თანამშრომელნი ჩვეულებრივად ზნეობრივ ნივთიერ დახმარებას არ მოგვაკლებენ

იმედია, მეცენატებიც გამოჩნდებიან — ხელოვნებისა და მისი ორგანოს მფარველნი.

თუმცა სახელმწიფოებრივ - საზოგადოებრივ ცხოვრების ყველა დარგის თანაბრად, ხელოვნებაც საკუთარის ცეცხლით უნდა ღვივდებოდეს, მაინც მეცენატის დახმარებაა საჭირო.

ჩვენი ჟურნალი, როგორც დღემდე, დღეის შემდეგაც პარტიათა გარეშე იდგმება, პროგრესიულ-ხალხოსნურ სულით გაჟღენთილი...

კარი მისი ყველა ნიჭიერ და უანგარო მუშაკისთვის ღიაა.

თავისუფალ საქართველოს ხელოვანნო და ხელოვნების სხვადასხვა დარგთ მოყვარულნო, შემოკრბით და საერთო ძალღონით გავმარგლოთ ჩვენი სამშობლოს ნორჩი ყანა. . მოვაშოროთ სულიერი ბარდნები.

მე მუდამ თქვენი ხელქვეით-ხელისშემწყობი ვიყავი და მარადის ვიქნები.

სალამი და გულითადი მადლობა ყველა თქვენ, რომელთაც ჩემი მცირედი ნამუშავარიც აღნიშნის ღირსად სცანით!..

იოსებ იმედაშვილი

# რედაქციისგან

**თანამშრომელთა და მკითხველთა საყურადღებოდ.**

მომავალი ნომრიდან ჟურ. „თეატრი და ცხოვრება" განახლებული იერით გამოვა ქართული ბეჭდვითი ამხანაგობის მიერ: აიწყობა ახალი ასოთი, უკეთესად კორექტურით.

ჟურნალი განსაკუთრებით სამხატვრო-სახელოვნო იქნება და მიზნად ექნება ქართული თეატრის სამსახური.

დაიბეჭდება წერილები საერთოდ ხელოვნების (თეატრის, მუსიკის, მხატვრობის, ქანდაკობის), შესახებ, აგრეთვე სახელოვნო მიმოხილვა, კრიტიკა და ბიბლიოგრაფია, მხატვრული ნაწარმოებნი და სხ.

ჩვენს ძველსა და ახალ თანამშრომელთ ვსთხოვთ, მოგვაწოდონ: 1) წერილები ხელოვნების ყოველ დარგიდან; 2) ხელოვნებისა და კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრების ყოველი მხრის ამბები.—ყოველი დასაბეჭდი მასალა უნდა დაიწეროს უეჭველად ცალგვერდზე, გარკვეულის ხელით.

ჟურნალის თანამგრძნობელთ ვსთხოვთ, ადგილობრივ მოაწყონ სააგენტოები და წრეები. მათი მიზანი უნდა იყოს: ხელოვნების ყოველი დარგის შესახებ პროპაგანდა, სწორ და უტყუარ ცნობათა მოწოდება და ჟურნალის გავრცელება.

პროვინციის სცენის მოყვარეთა ჯგუფებს და სახალხო თეატრის მოღვაწეებს ვსთხოვთ მოგვაწოდონ

ცნობება მათი მუშაობის და საჭიროების შესახებ, იგულონ ჩვენი ჟურნალი თავისად და ითანამშრომლონ მასში.

რედაქცია ყოველ ღონეს მიიღებს შეავსოს ის ნაკლი, რომელიც ჩვენს სახალხო თეატრს ახლავს — ნაკლებობა გამოცემული პიესების და სათეატრო ბიბლიოთეკების შექმნა. ამისათვის ჟურნალში სისტემატიურად დაიბეჭდება სარეპერტუარო პიესები, როგორც ახალი, ისე ძველი.

ხელოვნების ყოველი დარგის მოღვაწე მსახიობნო და მოყვარულნო, პარტიულობის მიუხედავად, გაერთიანდით და ჩვენს ხალხის საკეთილდღეოთ ხელიხელ ჩაკიდებულთ იმოქმედეთ. ჩვენი ჟურნალის კარი თქვენთვის მუდამ ღიაა.

რედაქცია



საოპერო მომღერალი ი. ვ. კურბატოვი

თბილისელი. სამუსიკო განათლება შეისრულა მუსიკის მასწავლებელ არტისტ კოვალენსკისთან და მეათე წელიწადია საოპერო ასპარეზზე მოღვაწეობს, თბილისშივე. ხშირად გამოსულა ქართულ ნათარგმნ და ორიგინალურ ოპერებში და დიდის ხალისითაც ეპყრობა ქართულ ოპერას. ამ წელს სახელმწიფო თეატრის დასშია და შაბათს, აპრილის 17, მისი ბენეფისია („ტოსკა“,— შე სრულებს პილეტტას)

# და გიგალობ!..

მე შენში ვპოვე ჩემი ყოფნის ნავთსაყუდარი,
მწუხარე გული დავასვენე ბროლისა მკერდზე,
გთხოვ არ გამწირო, არ ჩამაცვა შავი სუდარი,
არ მავალალო, არ მატირო კვლავ ოხერ ბედზე!..

დიდი ხანია, რაც გელტვოდა, გეძებდა სული,
დიდი ხანია, რაც მოხიბლე ჩემი არსება,
თუმცა არ მყავდი ერთხელაც კი ნათლად ნახული,
მაგრამ ყოველ წუთს თვალ წინ მედგა შენი ხატება!..

და როს გიხილე ნეტარების შემყსხა ფრთები,
ტანჯვისა ზღუდე გადავლახე, ავედი ცამდე,
იქ ლურჯ ლაჟვარდში შევისწავლე ნარნარი ხმები
და გიგალობებ, სულის სატრფოვ, უკუნისამდე!..

ბ. პელაშვილი

# სათეატრო შენიშვნები

თეატრი და ხელოვნება სრულიად თავისუფალი უნდა იყოს. მას არ შეუძლია სხვისი მონობა, ბრძანებლობის ქვეშ ყოფნა, ის თავისუფალი აღმაფრენაა. მისი სულისკვეთება ზეკაცურია, ჟამისობა მას აძაბუნებს, ასაჩიხრებს. დღემდე თუ მას სადავეებს უჭერდა რუსეთის მონარქიზმი და ცენზორების ბრჭყალებში ფართხალებდა, როგორც გალიაში გამომწყვდეული ჩიტი, დღეს ხომ ამ განცდას ბოლო მოეღო. თავისუფალ რესპუბლიკაში თეატრი და ხელოვნებაც არის და თავისუფლებაც. ამ თავისუფლებას ჩვენ ბოროტად არ უნდა ვხმარობდეთ, ყველა მცოდნე და არა მცოდნე მას არ უნდა აბურთავებდეს.

ჩვენ ნათლად ვხედავთ, რომ დღეს ყოველი სამუშაო დარგს სათავეში პროფესიონალური კავშირი უდგას. მსახიობობა ხომ პროფესიაა, მაშ ჩვენშიაც არსებობს მსახიობთა პროფესიონალური კავშირი და, თუ არსებობს, სად არის მისი თვალყური, რატომ არ უწევენ ანგარიშს იმათ არა სასიამოვნო მოვლენას, რაც თეატრის და მის გარშემო ტრიალებს. რატომ აძლევენ ნებას ყველას, ვისაც მოესურვება — **ვიგინდარა** თავ-ადებულს ხელმძღვანელობა გაუწიოს ამ წმინდათა წმინდა საქმეს, — ეს ხომ თავის თავის ღალატია.

ვიმეორებ თეატრს და ხელოვნებას დიდი მნიშვნელობა აქვს მუშათა კლასისათვის, ამის უარყოფა ყოვლად შეუძლებელია. თუ თავისუფალ რესპუბლიკაში მუშები სხვადასხვა დარგის სამუშაოში კავშირებს აარსებენ და ორგანიზაციულად იკვრიან, არა მგონია ზედმეტად ჩაითვალოს და, პირიქით, აუცილებელ საჭიროებას არ შეადგენდეს რკინისგზელ მუშათა კლუბებში მომუშავე სცენის მოყვარეები ორგანიზაციულათ მოეწყონ და საერთო კავშირი დაარსონ **„კავშირი რკინის გზელების სცენის მოყვარეთა“**.

ამისათვის საჭიროა ახლო მომავალში მოეწყოს სცენის მოყვარეთა წარმომადგენლების ყრილობა დედა-ქალაქის რკინის გზის ახალ თეატრის შენობაში იმ დღეს, რა დღესაც მას გახსნას ფიქრობენ.

ამის შესახებ მე მინდა ჩემი აზრი გავუზიარო ამ სცენის მოყვარეებს. [illegible] დღეობით რკინის გზელ მუშათა კლუბები დაარსებულია ტფილისს, ქუთაისს, სამტრედიას, ფოთს, ხაშურსა და მთაპანში; შესაძლებელია ახლო მომავალში სხვაგანაც დაარსდეს. უკვე დაარსებულ ადგილებს შეგვიძლია ჩვენ რაიონები დავარქვათ, თითეული რაიონი [illegible] ყრილობაზე დასასწრებად ორ წარმომადგენელს სცენის მოყვარე ქალსა ან კაცს საჭირო მანდატით და დავალებით. ცენტრში ე. ი. დედაქალაქში აირჩევა პრეზიდიუმი, რაიონებში კი გამგეობა, ყრილობაზე შემუშავებენ კავშირის წესდებას.

ან. კაციაშვილი

# სოფ. რომანიშვილი-დგებუაძისა

(20 წ. მოღვაწეობის გამო)

სახალხო სახლში ქართ. წარმოდ. მმართველ წრის გამგეობამ გადასწყვიტა სამშაბათს, აპრილის 20, ოცი წლის მოღვაწეობის გამო იუბილე გაუმართოს თავისს მხნე მუშაკს სცენის მოყვარე ქალს სოფიო რომანიშვილ-დგებუაძისას.

ხსენებულმა წრის გამგეობამ უკვე რამდენიმე იუბილე გაუმართა თავისს დამსახურებულ სცენის მოყვარე კაცებს, მაგრამ ქალი სცენის მოყვარეს იუბილე-კი ეს პირველია და უფრო ამითი არის საგულისხმიერო.

სახალხო თეატრი, დღიდან დაარსებისა, დიდ გაჭირვებას განიცდიდა ქალების მხრივ. ვინ მოსთვლის რამდენ ქალს არ შემოუდგამს ფეხი სახალხო თეატრის სცენაზე, მაგრამ ისევ მალე წასულა და მიუტოვებია, როგორც უკმაყოფილო სამსახური. ახლა საბედნიეროდ, ყველგან ბევრი მოიპოვება სცენის მოყვარე ქალები, მაგრამ ამ 20 წ. წინად სანთლით საძებარნი იყვნენ. განსვენებული მარიამ ღემურია ხან ერთ ქალს ეხვეწებოდა სცენაზე სათამაშოდ, ხან მეორეს. ისინიც ხათრს არ უტეხავდნენ, მოდიოდნენ და როგორც მოდიოდნენ — ისევე მალე მიდიოდნენ, ან ქართულ თეატრის სცენაზე გადადიოდენ, სახალხო სცენა კი უქალოდ რჩებოდა; სახალხო თეატრმა ქართულ თეატრს ბევრი საუკეთესო არტისტი ქალი შესძინა მაგ. ოლ. ლეჟავა, ნ. დავითაშვილი, ან. ქიქოძე და სხ. სოფიო რომანიშვილს კი არ მიუტოვებია სახალხო თეატრი, მიუხედავათ იმისა, რომ ისიც ბევრჯერ მიიწვიეს ქართულ თეატრში და დღევანდლამდე საუკეთესო სცენის მოყვარედ ითვლება.

სახალხო თეატრის სცენაზე პირველად გამოვიდა 1899 წ. მონაწილეობა მიიღო „დრონი მეფობენში“ ნატო, „ორ ობოლში“ ლუიზა, იმავე ზაფხულს მონაწილეობა მიიღო ნაძალადევში. რუსეთის კურსებზე გამგზავრების გამო რამდენიმე ხნით შესწყვიტა მუშაობა, ხოლო 1900 წ. დაბრუნებისთანავე სახალხო სცენას დაუბრუნდა და აღარ ჩამოშორებია.

ამ 20 წ. განმავლობაში ბევრი ტანჯვა-დაბრკოლება გამოიარა სახალხო თეატრმა და სოფიო რომანიშვილიც მუდამ იზიარებდა ამ ტანჯვას. ამავე სცენის მოყვარეთ მიერ ხშირად იმართებოდა წარმოდგენები რკინის გზის თეატრში მთავარ სახელოსნოს წინ და სოფიო რომანიშვილიც მხურვალე მონაწილეობას იღებდა ამ წარმოდგენებში.

წერა ადვილია, მაგრამ საქმე კი ძნელი ის, რაც გამოიარა სახალხო თეატრმა, მანამ მიახწევდა ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლს აუწერელია; აქ ყველაფერი მზად არის, მაგრამ იქ — ავჭალის აუდიტორიაში სადაც ჩაეყარა პირველი საძირკველი სახალხო თეატრს, ძნელი იყო. არსად ბინა, არსად თავშესაფარი, — სარეპეტიციო ოთახი... სად დაენიშნათ რეპეტიცია, გამგეობის კრება? სოფიო რომანიშვილისან სადან მოეტანათ სცენისათვის აუცილებელი, მაგიდის საფარი, ლამფა, ჩაის ჭურჭელი, ხალიჩა, მუთაქა და ფარდაგები? — სოფიო რომანიშვილისგან... მოკლედ — მისი ოჯახი და თითონ სოფიო რომანიშვილი მასპინძლები იყვნენ იმ სახალხო თეატრის, რომელიც იმ დროს ერთად ერთი კულტურული დაწესებულება იყო მდაბიო ხალხისა. იქ მოისმენდა სახალხოს შუქი დემოკრატიის გასამხნევებლად და დასაბუთებლად. თვით ჩვენმა მამამთავარმა ნოე ჟორდანიამ დასწერა ერთ . „კვალში“ სახალხო თეატრზედ და სთქვა, რომ „საზოგადო ინტელიგენცია და ხალხი ხალხი და მათთან ერთად აკეთოს საქმე, თორემ ერთის მოსვლით და მეორე მიდიოდეს ვერაფერი იქნება სახალხო საქმის წინსვლისათ“. აი, ეს სიტყვები მტკიცედ შეასრულა სოფიო რომანიშვილმა და ხალხს არ ჩამოშორებია, ხალხთან ერთად იყო, არის და, იმედია, მომავალშიაც მათთან იქნება და ხალხიც ღირსეულად შეხვდება ამ ამ სახალხო მოღვაწეს.

გიორგი ჯაბაური

# ზღვასთან

ზღვასთან ვიდექ, საღამოს ჟამს,
ზღვისა სივრცეს გავსცქეროდი;
ხავსით მოსილ სევდიან გულს
უიმედოთ ჩავმღეროდი...

მაგრამ, როცა მზის სხივები
ზღვის ტალღებზე დაეფინა,
წუთით ვიგრძენ სიხარული
და კვლავ სევდამ მთხოვა ბინა...

თვალი მივაპყარ ბედის მნათობს,
შავ-ღრუბლებში მემალოდა,
მაგრამ, არა! ის ტყვე იყო;
სუსტი ფრთებით ძალადობდა...

აჰა, დასწყდა მზის სიმები,
დანაწყვეტი ღრუბლებს ასწვდა,
ბედის მნათობს ჩასჩურჩულა
სევდა კვნესით დღესაც ჩაკვდა!..

ჩამორჩენილი



# თეატრის კრიზისი

ყოველ გზა ჯვარედინზე გაიგებთ ამ სიტყვას. თბილისის ქართულ დრამის მოსაწესრიგებლად. ახალი გამგეობა აირჩა... არის მსახიობთ კავშირიც...

მაგრამ მაინც კრიზისია

კრიზისი ნივთიერი და მორალური.

თითქო ქართველმა მსახიობმა დაკარგა ის ელ-ფერი, წინად რომ ჰქონდა...

როგორც წინად დღესაც უბინაოდაა ქართული დრამა როგორც წინად, დღესაც დაუხმარებლადაა ქართული თეატრი. მაგრამ როგორც წინად, დღეს ისე გულთბილად და გატაცებით არ გვ ხალისებს ქართველი მსახიობი...

გამრავლდენ სცენის ხელოსნები, ხელოვანნი კი არსად სჩანან...

კრიზისია!

რა არის საჭირო?

მე თუ ერში ვარ,—შენი ქონი რად მინდაო, სთქვა ერთხელ ასოთამწყობმა მიშა კორძაიამ და ჩვენც ვიტყვით: ვიდრე ჩვენი თეატრი საკუთარ ერბოს არ გაიჩენს, მანამდის ქონის მოლოდინში იქნება და მისი კრიზისიც დაუშრეტელი...

ჩვენს მთავრობას ჰმართებს, დროით მოხედოს მშობელ თეატრის წყლულებს, რათა თეატრმა თვით გაიჩინოს ერბო თვისი... **იოსებ არიმათიელი**

# იუდა

...და აღაპყრნა ხელნი თვისნი ზეცად იუდამან და ღაღად ჰყო ხმითა მაღლითა:

— უფალო! უფალო! რა მქვიან აწ მე?..

ხოლო მის გვერდით გავლილმა მოწაფემან უფლის მან ჰრქვა მას:

— იუდა, გამცემელი!

და ვიდოდა დიდხანს უდაბურსა მას ღამესა იუდა და არა იცოდა, თუ სად ეპოვნა ხსნა, ვისთვის განეზიარებინა აზრნი თვისნი, რამეთუ ჰგრძნობდა ობლობასა სულისა თვისისასა და არღარავინ აძლევდა სალამსა...

და იხილა ბუჩქი მტილსა შინა და ჰკითხავდა საიდუმლოდ მოხდილი:

— მარქვი, რა არის აწ სახელი ჩემი?..

ხოლო ბუჩქი შერხევითა ნელითა ეტყოდა მას:

— სახელი შენი გამცემელი არს!..

და მოესმა შორით ჩუხჩუხი ნაკადულის ტკბილისა და ივლტოდა მისკენ, რათა ეკითხა:

— მარქვი, ნაკადულო, რაი ვარ აწ მე და რაი არს სახელი ჩემი ნამდვილ?

ხოლო ნაკადული იგი ბუტბუტითა მწუხარითა პასუხად ეტყოდა:

— იუდა! იუდა! რომელ არს გამცემელი ღვთისა, გამყიდველი ხატებისა თვისისა.

დამწუხარებული და ქენჯნითა დიდითა სინიდისისათა განეშურა იუდა სახლისაკენ თვისისა, რათა მიეცა დასვენებად თავი თვისი და დაეცხრო მღელვარება გულისა თვისისა.

ხელი დაუკრა კარსა ..

და გამოესმა ხმა ცოლისა თვისისა და ჰკითხვიდა:

— ვინ ხარ მანდ?

ხოლო იუდა მიუგებდა და ეტყოდა სახელსა თვისსა...

— არა გაგიღო კარი სახლისა ჩემისა, რამეთუ შენ ხარ მაცდური და არცა შემოგიშო სახლსა შინა, რამეთუ შენ გაჰყიდე მაცხოვარი ჩემი!..

და შეძრწუნდა იუდა ფრიად და არა იცოდა რაი ექმნა...

— მარქვი, დედაკაცო, ვით გამოვისყიდო შეცოდება ჩემი და ვით დავიბრუნო სიმშვიდე სულისა ჩემისა?..

და ცოლმან პასუხი მიაგო:

— დაედევნე მაცხოვარსა ჩემსა და შეჰვედრე, რათა შეგინდვნეს შეცოდებანი შენნი.

. . . . . . . . .

და ისწრაფდა იუდა ფარისეველთა მათ მიმართ, რათა გაეგო სად არის ძე იგი ღვთისა, წოდებული ქრისტედ.

ხოლო ფარისეველნი ღიმილითა ეტყოდეს მას:

— უკვე ჯვარცმულ არს იგი!..

და, აჰა, წარვიდა იუდა ტყესა უდაბურსა და შემოირტყა ყელსა თვისსა საბელი, რომელი ეკრა წელსა, დამოიკიდა თავი თვისი ხესა ზედა მაღალსა, რათა სული მისი დასწეოდა სულსა იესოსა და ეთხოვა პატიება.

ხოლო ვიდრემდე სული მისი განვიდოდა სხეულისაგან მისისა, მომაკვდავსა მოესმა ღაღადი მხიარული, რომელი განხდა გარემოს:

— ქრისტე აღსდგა!..

და იხარებდა სოფელი, აღსავსე სიხარულითა დიდითა, გარნა გვამი იუდასი ეკიდა უმოძრავად, ხოლო სული მისი დაეხეტებოდა საძებრად მკვდრეთით აღმდგარისა იესოსი...

**არჩილ მაჭავარიანი**



# მეორე აღდგომა

(თეთრი ლექსი)

...და მაშინ, როცა ტყვეობაში მეგულებოდი; სული მიწუხდა, გულს მიკლავდა უსასოება... არვის უმხელდი ჩემ გულის თქმას, სევდას დათაღრხულს. და უგზო უკვლოდ ცივ მხარეში ვეხეტებოდი.

მძულდა ბუნება, იქაური ყინვა-სიცივე...

და მოწყენილი დავდიოდი, ვით ღამის ლანდი. როგორც განცხრომა-სიხარული წარმავალია, ისე წუხილი, გულის სევდაც [illegible]...

და, აი, დღეს, ჩემს მწუხარებას ბოლო მოეღო. ქრისტეს აღდგომას მეორეჯერ ვეგებები შენთან მიჯნურო!

დღეს ბორკილები აღარ გადევს სათუთ ხელებზე, დღეს ტყვეობაში აღარ გმინავს სული ტანჯული...

და დღეს მე მინდა ვიქეიფო ძველი ადათით, სვირული ღვინით სავსე ყანწი ყანწზე დავცალო და მერე მთვრალმა შენს კალთებზე, მწვანით მოსილზე მხოლოდ განცხრომის, სიხარულის ცრემლი დავღვარო...

**შალვა გომართელი**

# არ მიტირო, არა!

(ჩემს უდროვოდ დაღუპულ შვილის ტიტიკოს ხსოვნას)

სევდით მოცული ქართველი დედა შვილის საწოლთან ზის. რამდენიმე დღეა არ უძინია და თვალმოუშორებლივ დასცქერის თავისს მომაკვდავ პირმშოს, 22 წლის ჭაბუკს, რომელიც ბრძოლის ველიდან დაჭრილი ჩამოუყვანეს. ექიმთა ვერავითარმა მეცადინეობამ ვერ მოაბრუნა საიქიოსკენ პირგაბრუნებული შვილი. დასცქერის დედა და თან მის წარსულს ითვალისწინებს: ახლად შობილი პირველად რომ ხელში აიყვანა და აკვანში ჩააწვინა, ნეტარის იმედით აღივსო:

— გავზრდი, გონება-სხეულით გავწვრთნი, სამშობლოს სასარგებლო მოქალაქეს მოვუმზადებო...

დედა მოესწრო კიდეც ამ დღეს. აგერ მისმა შობილმა საშუალო სასწავლებლის ატესტატი აიღო, რევოლიუციასაც კი ეზიარა,—სწავლაში ნიჭიერ გამოცდასთან ერთად საზოგადოებრივი გამოცდაც სასახელოდ ჩააბარა... დედამ საგანგებო სასტუდენტო სამოსი დაუმზადა, უმაღლეს სასწავლებელში შევიყვან, დაბრძენდება და უფრო მომზადებული დაუბრუნდება სამშობლოსო ..

...მაგრამ უცებ სამშობლოს მეომარი დასჭირდა. შვილმა იარაღი აიღო და ბრძოლის ველზე გავიდა: თუ ჩემს მამულს მტერი გადალახავს, უმაღლესი სწავლა-განათლება რაში მეპრიანებაო...

და მართლაც სასახელო მეომარი შეიქმნა: ბრძოლიდან ბრძოლაზე გადადიოდა, ერთი ასპარეზიდან მეორეზე, ფრთიდან ფრთაზე, არ იცოდა მოსვენება და გარშემოსეულ მტრებს მუსრს ავლებდა... მუხანათმა მტერმა დრო უხელთა და გმირი ჭაბუკი დასჭრა. ჭრილობამ პირი გაიხსნა... სნეული ჭაბუკი დედას მოჰგვარეს.. სიკვდილს პირი დაუღრენია და ჭაბუკს სამარეს უახლოვებს: დედა და შვილი ურთიერთის სახეზე კითხულობენ მომავალ საშიშროებას..

— დედა ჩემგან გულს ხომ არ გაკლია?—ეკითხება მიხრწნილი შვილი და ხელებს უკოცნის: დედა, მე დავიწყე შენი იმედების განხორციელება, დასრულება კი ვერ შევძელ... ჩემი ძმა დაასრულებს.—დედა! გთხოვ, ოდესაც ჩემი სამშობლოს თავისუფლების დროშა თავისუფლად აფრიალდეს, სამარეში მაინც მახარე... მახარე, რომ აღსდგა სამშობლო ჩვენი.. ერთსაც გთხოვ: არ მიტირო, არა! და ტკბილი ძილი არ დამირღვიო: მე ხომ ისა ვქენ—რაც შემეძლო ..

სთქვა და თვალები მილულა... მის ნელ-თბილ სახეს დედის ცრემლის ორი კურცხალი დაეცა... დაემხო შვილის გვამს, მაგრამ ველარ მოაბრუნა...

და მწუხარე დედა, ვითარცა ქანდაკება, შვილისკენ გასცქერის ერთ წერტილს; აქ ხედავს შვილის გაციებულ სხეულს, საწოლის თავზე ხმალსა და სასტუდენტო სამოსს, რომლის ჩაცმაც შვილს არ ეღირსა. ამავე დროს ოცნების ბინდბუნდში უკრთის სამშობლოს მდგომარეობა, რომლის თავისუფლებასაც შვილი მისი შეეწირა .. „რა მიმელის, რა?" ფიქრობს დედა.

ამ დროს ქუჩიდან უკებ ჟრიამული მოისმა. ხალხი ხარობს, საქართველოს დროშა თავისუფლად ფრიალებს..

— აღსდგა ერი ჩვენი და მისი დამოუკიდებლობაც იცნეს!—გუგუნებს მთელი ხალხი.

— გიხაროდეს, შვილო ჩემო!—საქართველო დამოუკიდებელია, თავისუფალი! —ჩასძახა გახარებულმა დედამ, ამავე დროს აიღო მიცვალებული შვილის ხმალი, გაუწოდა მეორე ვაჟს და სიამაყით უთხრა:

— გამომართვი შვილო! ვინძლო ძმის ანდერძი შეასრულო—თუ შენი ძმა ვერ მიესწრო სამშობლოს თავისუფლების ცნობას, შენ ხო მოესწარი: წადი და განამტკიცე ძალა მისი!..

**იმერელი ქალი**

# ინდივიდუალიზმი და მისი შედეგები ქართულ მწერლობაში *)

* * *

საქართველომ ტყვეობის ჟამს ორი მთავარი მდგომარეობა განიცადა. პესიმისტური უიმედობა,—ეს მაშინ, როდესაც ერის თავისუფლება სულს ლაფავდა, სალათას ძილს მისცემოდა და მეორე—როდესაც იგი გამოფხიზლდა ამ ძილისგან და იმედის სხივით აღსავსე შეჰყურებდა უკეთეს მომავალს.

ამ ორმა მდგომარეობამ ორი მთავარი დაღი დააჩნია ჩვენს ლიტერატურას. პირველი მდგომარეობის თანამედროვედ სამოციან წლების მოღვაწენი გამოვიდენ; ამიტომ მათი შემოქმედება სევდისა მოთქმით ამოიწურა; საზოგადო იყო ეს სევდა, რისთვისაც თვით ბუნება მაშინდელი მწერლობისა ატარებდა საზოგადო ხასიათს.

---

*) ეს წერილი „თ. და ც." № 12 ვერ მოთავსდა.

რედ.



ბესო მაისურაძე

სახალხო თეატრის დაუღალავი და უანგარო მოღვაწე. 30 წ. შესრულდა, რაც ქართულ სახალხო სცენას ემსახურება. მის პატივისმცემელთ გადაუწყვეტიათ იუბილე გადაუხადონ. უმეტესად ავლაბარში მუშაობდა.

---

ასეთი გარემოების საუკეთესო გამომხატველი ბელეტრისტიკა უნდა ყოფილიყო და აკი გახდა კიდეც: ჭონქაძის, ყაზბეგის, ჭავჭავაძის, ნინოშვილის ნაწარმოებები,—აი ის მარგალიტები, რომელთაც დაამშვენეს ჩვენი კლასიკური ლიტერატურა. იმ ხანად ჩვენს მწერლობაში ინდივიდუალური სულის ნასახი აქა-იქ გამოსჭვიოდა, მაგრამ ეს ნაპერწკლები ვერ ჩრდილავდა იმ ღვთიური ცეცხლის სხივებს, რომელიც ერის სამსხვერპლოზედ შემოქმედებას ადრევე დაენთო პოეზიის სახით.

მაგრამ ტყვეობის ჟამთა მიწურულში დაიწყო ახალი ხანა ჩვენი ერის ცხოვრებაში: ჯერ დასავლეთი და შემდეგ ჩრდილოეთით დაჰბერა გაზაფხულის სიომ. კაპიტალისტურმა ხანამ მსოფლიოს ჰორიზონტზე შავი ღრუბლები წითელი ფერებით შესცვალა; მზის სხივებმა ეს ფერები ჩვენს სამშობლოსაც მოჰფინა.

ერის სული იმედის სხივით შეიმოსა.—ამ გარემოების გავლენა აშკარათ დაეტყო ჩვენს ლიტერატურასაც. აზრთა განვითარებას მოჰყვა ესთეტიური გრძნობის განვითარებაც. სულმა იცნო მშვენიერება მეტი სიძლიერით და შეუდგა მის გუნდრუკის კმევას. ამის შემდეგ შესუსტდა საერთო ხასიათის გოდება და ინდივიდუალურმა გრძნობის გამოსახვამ დაიჭირა მისი ალაგი. ასეთი მიდრეკილების გამოსახატავად მუსიკალური პოეზია უფრო კარგი საშუალება გამოდგა, მინამ ბელეტრისტიკა. ამიტომ ჩვენი ტყვეობის უკანასკნელ მიწურულში ვხედავთ პოეტური ნაწარმოების განვითარებას. ბელეტრისტიკა კი დაეცა და დაკნინდა. პირადი მეს, გრძნობის,—ვიმეორებ,- გამოხატვა—აი რა გადაიქცა ჩვენი მგოსნების სატრფიალო საგნად. ასეთი მიდრეკილების განვითარებამ-კი ჩვენი ლიტერატურა მოაქცია განსაზღვრულ ფარგალში და უმცირესობის საზრდოთ გადააქცია.

ამიტომაც ახალი მწერლობა ვერ დაუახლოვდა მასას ისე, როგორც უახლოვდებოდა კლასიკური ლიტერატურა. ამგვარად ლიტერატურა დააშორეს ხალხს და ზოგმა თავისი შემოქმედება სალ აზროვნებასაც. მართალია, თანამედროვე ლიტერატურას პროგრესი ატყვია, მაგრამ ვისაც სწამს ხელოვნება ერისთვის და არა ხელოვნება ხელოვნებისთვის, მაშინ ინდივიდუალიზმი იმდენად უნდა ისახებოდეს ლიტერატურაში, რამდენადაც ის საზოგადოებრივი აზრის გამოხატვას ხელს შეუწყობს და მით უმრავლესობის სულს და გულს ჩასწვდება.

ბარათაშვილის „წარვედ მტკვრის პირას“, საუკეთესო გამომხატველია ასეთი ნიმუშისა. მისი ინდივიდუალური გრძნობა, საზოგადოებრივი ხასიათით, ნათლად სწვდება ყოველი ჩვენთაგანის სულს.

ასევე ითქმის მის მეორე ლექსზე: „ძნელი არის მარტოობა სულისა“ და სხვ.

საზოგადოებრივი აზრი, ფიქრი, ფილოსოფია, აი რა უნდა იხსენიებოდეს იქ, სადაც შემოქმედის ინდივიდუალიზმიც მოსჩანს.

შეიძლება ასეთი საზომით არ იზომებოდეს ხელოვნება იქ, სადაც ერის ენერგია დაუშრეტელ, მრავალ მილიონიან ძალას შეადგენს, მაგრამ აჰრელებული ქართველის ფსიხიკა, მისი სუსტი ენერგია მოითხოვს, ნაკლებ ინდივიდუალურ მიდრეკილებას და მით ერის მთლიან სახის ჩამოყალიბებას, ჩვენი ზნეობის, კულტურის და მდგომარეობის მიხედვით.

მუშა მიხა დევაძე



დია ჩიანელი და გიგლა მებუკე

,,თეატრი და ცხოვრება''-ს ათი წლის არსებობის სახსოვარი.

# 12 იანვარი

დღეს შემიყვარდა პირველ ყოვლისა—
შვინდის ფერ დროშის გაშლა კარავად
და ჩამობნევა თეთრი თოვლისა,
შავი წარსულის დასაფარავად.

გუშინ ისმოდა რკინის სირბილი.
დარდი წამების .. დარდი დევნისა
და დღეს თბილისი გახდა სიტკბილე
იასამნის, ვარდის, მტევნისა.

ჩვენ აგვიშალეს სულის ლოგინი
და გადაგვაბეს საფლავზე ტყუპად,
მაგრამ განგებამ არ აბოგინა
ხელი აწვდილი ჩვენს დასაღუპად.

...და თუ კვლავ ცეცხლი ელის იმ ერებს,
რომელთაც გული უძგერთ ხვალისთვის,
ჩვენ სუფრად გავშლით ლამაზ ქიმერებს
ისევ ბრძოლისთვის, ისევ ხმალისთვის.

და რამდენ შარსაც მოგვიდებს ბედი.
და ქვებს ჩაგვიწყობს თვალებში გუგად,—
კვლავ ავენთებით, როგორც აბედი,
ჩვენი თალხების გადასაბუგად.

დღეს კი ზეიმმა შეგვაზარხოშა,
დღეს კი წირვაა სვეტიცხოვლისა.
და სამი ფერის ფრიალებს დროშა:—
საფერავისა, შვინდის, თოვლისა.

**ი. მოსაშვილი**



**ავადმყოფი ვასო აბაშიძე.**

დღეს ქართულ კლუბის თეატრში მართავს წარმოდგენას. წარმოდგენილი იქნება „ხათაბალა“. ვასო შეასრულებს კარაპეტ ზამბახოვის როლს.



**მგოსანი იოსებ მჭედლიშვილი**

მრავალ ნაწარმოებთა შორის, ბოლოხანში დასწერა პიესა „ომი ანუ ბათუმის დღეები“ (დაწერილია 1918 წ.) 4 მოქ. პროზად.

1912 წ. დაიწყო პოემ „სული ობოლი“ სამ წიგნად: I წიგნი მსოფლიო ომამდე, შეიცავს იმ სულიერ უნუგეშობას, რომელშიც იყო მაშინ საქართველო. თუმცა „ობოლი სული“ იმედოვნებს წიგნის ბოლოში, რომ გმირულად გადაიტანს ყველაფერსაო. დაწერილია ილიასეული ლექსით.

II წ. დაწერილია მოსკოვში 1916 წ. და გამოხატულია მსოფლიო ომის ხანა. ეს წიგნი მძვინვარებაა და შურისძიება სულისა, რომელიც მონაწილეობას იღებს მსოფლიო ომში და სისხლს იღებს ცხოვრებაზე, რომ მას სულით ობლობა ჰხვდა წილად. წიგნი დაწერილია შემდეგი ფორმით: წიგნში რვა კარია, თითო კარში რვა თავი, თითო თავში რვა ტაეპი, თითო ტაეპში რვა სტრიქონი, თითო სტრიქონში რვა მარცვალი.

მესამე წიგნი გამოხატავს რევოლიუციის ხანას და იგი ჯერ არ არის დასრულებული.



**ისტორიკოსი მოსე ჯანაშვილი**

„თეატრი და ცხოვრება“ ს არსებობის ათი წლის ს. ხსოვარი.

# 1910 წ. „თეატრი და ცხოვრება"-ს სახსოვარი 1920 წ.



პ. გოთუა



არ. ახნაზაროვი



გელა



ი. ეკალაძე



მარიჯან



დ. თურდოსპირელი



იასამანი



შ. გომართელი



ძიძიგური

# ალუბის ცეკვა

დრამატიული ეტიუდი 1 მოქმედე³ად

**მ ო მ ქ მ ე დ ნ ი:**

1. **შოთა მთვარეული**—მგოსანი 21 წ.
2. **გიორგი ვნებაძე** – საექიმო ფაკულტეტის სტუდენტი, მისი ამხანაგი 23 წ.
3. **სალო**—მთვარეულის რძალი, ფშაველ მეცხვარის ცოლი 19 წ.

მოქმედება მთაში. მაღლობზე ქოხი, მოშორებით მუხა ბუჩქნარით; იქვე წყარო ჩამოჩუხჩუხებს, მთვარე ცეცხლის ალივით ამოდის. იადონის ხმა.

I **შოთა და გიორგი** (ლაპარაკით შემოდიან)

**გიორგი** (მხარზე თოფი) შევისვენოთ.

**შოთა** არა, სათავეში ავიდეთ... იქა ჰნახავ ბუნების სიკეკლუცეს, განიცდი მის საიდუმლოებას, სიღრმეს... მთვარის შუქი რომ ხშირ ტყის რტოთა შორის შემოიჭრება, გრძნეულ ფიქრთ აღგიძრავს, ამ ქვეყნის ყოველდღიურ ჰუჰყიანობას აგაცილებს, ზეცად აღგაფრენს...

**გიორგი** რათა?

**შოთა** რომ ლამაზი ცხოვრება მოგაწყუროს...

**გიორგი** არა, ძმაო... დავილალე! რაც ვნახე—ჯერ ეს გადავხარშო!

**შოთა** (ნაზი ალერსით) სამი კვირა ხომ არც კია, რაც აქა ხარ... იქნება მოგწყინდა?!

**გიორგი** (სწრაფად, ალერსითვე) რაო? როგორ თუ მომწყინდა!—მომწყინდა კი არა,—დავიქანცე ბუნების ესოდენ სხვადასხვაფერობით და მშვენიერობით...

**შოთა** მაშ რუსეთის ველ-მინდორი თუ უფრო გახალისებდა!

**გიორგი** აგრე, აგრე, ჩემო შოთა! ჩემი გულის დასაკაწრავად უკეთესს ვერას მოიგონებდი...

**შოთა** მაშ რაია?

**გიორგი** კაცმა რო მართალი სთქვას, იქ ერთფეროპა მღალავდა, აქ მრავალფერობა...

**შოთა** ნამდვილ ბარელი ხარ, გიორგი! მაგრამ ჩვენებური ანდაზა ხომ გაგიგონია: დარბაზს შესვლა შენს ხელთაა—გამოსვლა კი მასპინძლისაო... ახლა ჩემს ხელთა ხარ... ამირანის სატყვეოს კალთები უეჭველად უნდა ჰნახო... აქ შესთხზა ჩვენმა ხალხმა თავისი სადევ-გმირო ზღაპრები... აქა ჰნახავ წყაროს და ტყის ალებს, ცეცხლებს რომ აკვესებენ თვალებს... თვალთა ერთის ხამხამით რომ საუკუნეს განგაცდევინებენ... მერე მათი ფერხული!.. ოჰ, რა ნეტარებაა, რა სილამაზე, რა აღგზნება, რა სიმშვიდე...

**გიორგი** (ბუჩქის ძირას მიჯდება, თან ქოხისკენ გაიცქირება; მერე ამომავალ მთვარეს გაჰხედავს) და განა ამ მშვენიერებას შეედრება რამე?

**შოთა** ოჰ, ეს მთვარე მაღლა მთაში უნდა ჰნახო, დუდღუბოს მწკრივებსა და წიფელ ნართა რტოებში დაისრული რომ შემოიჭრება!.. (გასცქერის მოჯადოებულივით)

**გიორგი** (ამ დროს ქოხისკენ იცქირებოდა, თავისთვის) აჰა, ჰრაქს მოუკლო...

**შოთა** (განაგრძობს) აი, უმაღლესი სიყვარულის ემბაზი სად არის; აი, ადამიანი სად ეზიარება ღვთაებას, ზეკაცობას... (ჰ·თოსით)

სულო, ამაღლდი ზეცამდე,
გადამატარე საზღვარი,
რომ აღარ ვსჭვრეტდე სიბიწეს,
ცოდვისა ბუდე საც არი...

**გიორგი** (ღიმილით) მაშ დედამიწას ზიზღი და მდურვა!..

**შოთა** (გატაცებით) დიაღაც!..

**გიორგი** მერე მაგნაირ სიყვარულს, გატაცებას რა სარგებლობის მოტანა შეუძლიან?

**შოთა** რა? იმ სარგებლობის, რომ ადამიანი პირუტყვობას აშორდება, ნამდვილ ღვთის ხატებად გადიქცევა...

**გიორგი** (უცებ გადიხარხ.რებს)

**შოთა** (თითქო ეწყინა) რაო?

**გიორგი** არაფერი... საკვირველი შეხედულება გქონიათ. წელანდელი ფშავლის არ იყოს, რა სთქვა სტუმარ-მასპინძლობაზე?!..

**შოთა** არ მოგეწონა? ცოტა გარკვევით ვერ სთქვა. ძალიან სადა, უბრალო და იმავე დროს მაღალ-ზნიანი ჩვეულებაა: ჩვენში სტუმარი ღვთისაა,—სტუმარს ბუზს ვერვინ აუფრენს, მაგრამ ამავე დროს არც სტუმარმა უნდა იკადროს აუგი... (კილოს შეცვლით) დრო მიდის, ჩემო ძვირფასო მეგობარო, სათავეში უნდა ავირბინო, რათა განვიცადო ბუნების უმაღლესი ნეტარება, სიტკბოება; ვიხილო გვირგვინი ბუნებისა და დუდღუბოს სალამურიც გამოვჰრა სულის სადარბაზოდ... თუ წამოხვალ—წამოდი, თუ არა და...

**გიორგი** (უცებ თოფს მოუმარჯვებს ხის კენწეროსკენ)

**შოთა** (ხელს უტაცებს, მერე გახედავს) რას ესვრი?

**გიორგი** შაშვია თუ რაღაც. ერთის სროლით ჩამოვაგდებ...

**შოთა** მერე რათა? რისთვის უნდა მოუსპო სიცოცხლე? ეგ ხომ დანაშაულია.

**გიორგი** როგორ დანაშაული?

**შოთა** დიაღ, ბუნებამ გააჩინა,—უნდა სიცოცხლითაც დასტკბეს... შენ კი გინდა მოსპო ბუნების გვირგვინი—სიცოცხლის ძარღვის ცემა...

**გიორგი** დღეს შენ ვეღარ მემცნაურები... თუ კი მგელს მოვკლავ?..

**შოთა** არც მგელი უნდა მოკლა, თუ არ გეცემა...

**გიორგი** ჰმ!..

**შოთა** ჩემო სიყრმის მეგობარო, მიიღე ყოველივე, რაც გინდა მიმსახურე როგორც გენებება, დასტკბი ამ ბუნების სიმშვენიერით და ჩემის ოჯახის მასპინძლობით, მაგრამ უპირველეს ყოვლისა იყავ ადამიანი და ნურვის სიცოცხლეს ნუ შესწყვიტავ...

**გიორგი** როგორც ვრწმუნდები, შენ მგოსნობის გარდა ფილოსოფოსობაც შეგძლებია...

**შოთა** დამცინი თუ? მაგრამ მე დაცინვას უფრო ავიტან, ვიდრე შეურაცხყოფას — როცა ადამიანის აუგს ან არსის სიცოცხლის მოსპობას განიზრახავ.

**გიორგი** (ღიმილით) კარგი, კარგი, ჩემო მოძღვარო! მიჰხედე სათავისკენ შენს ალებსა — ცეცხლოვან თვალებსა და დუდღუბოთა მწკრივებში მთვარის შემოჭრას... სალამურიც გამოსჭერ მთა-ბარში ასაკვნესებლად, მე კი აქ ვინებივრებ მთვარის ნელ-ნელა ამოსვლით და იადონის გალობით... აჰა, ეს თოფიც ხეს ეყუდოს... (მიაცილებს)

**შოთა** შენ იცი.., მე სათავის ქიუხებს მოვივლი, ერთ საათამდე დამიგვიანდება: ხალხი ამბობს, მთვარე რომ მოეფინება, ტყის ალები ცეკვას იწყებენ ხოლმეო სწორედ ამ ალების ცეკვა მინდა ვნახო.

**გიორგი** კი არ მოგიტაცონ, ბიჭო!

**შოთა** შენ არხეინად იყავ: ხორცით ვერა და სულით კი უკვე გატაცებული ვარ! (გადის)

(მოისმის მაშვის ჭახჭახი, იადონის გალობა, წყაროს ჩხრიალი ეხმატკბილება ბუნების ხმაურს, მთვარე თანდათან ამოდის)

**გიორგი** (მხარ-თეძოზე წამოწოლილა. შესცქერის მთვარის ამოსვლას, უსმენს ბუნებას მეჯლისს; მოისმის ფაჩუნი) აცა! (მიიხედავს, საითაც შოთა წავიდა. წამოიწევ)

## II იგივე, სალო

**სალო** (ფეხ აკრეფით შემოვა იმ მხრიდან, საითაც შოთა გავიდა)

**გიორგი** (წამოიჭრება და შეეგებება) სიცოცხლევ!

**სალო** (მკერდს მოეხვევა, ორივე ხის ძირას ჩასხდებიან) გაიბის და აღარ გაათავის!.. რა ხანია ყურს გიგდებდით: ან ახლა წავალის ჩემ მაზლ, ან ახლა მეთქი...

**გიორგი** ჭრაქი რომ ჩააქრე, მივხვდი...

**სალო** ბავში დავაძინე, დედამთილი მიწვა, ჩემ კაც დღეს სალამოთი მთაჩი წავიდის ცხორთან, ერთ კვირას დარჩების. (თან ეხვევა)

**გიორგი** ოჰ, ჩემო შავთვალა ფშაველო... ეს შენი თვალები, მარჯნის ტუჩები, გიშერი წარბ-წამწამნი, თურაშაული ლოყები მწყემსზე უფრო ღირსეულ კაცს შეეფერების...

**სალო** მე შენს მეტ არვინ მეუფლების... პირველად რომ თოლ დაგკარ და შემომხედე, შენმა თოლებმა ისარივით გამიარის. გულს შიგან რაღაც საიდუმლო ზარმა ჩამოჰკრის... სისხლი აჩქროლდის, გულმა ცემა დაიწყის...

**გიორგი** და, მე? — რუსეთში ბევრი ქალი მინახავს, ბევრი ლამაზი, მაგრამ შენი ცეცხლი კი ვერავისში შემინიშნავს... ამიერიდან შენა ხარ ჩემი ღვთაება, ჩემი.. მხოლოდ შოთა...

**სალო** ჩემ მაზლ თუ?.. მერე რაი? მე ჩემ გული მაქვის... სხვას რას დავსდევ..

**გიორგი** მართალია, სიყრმის ამხანაგია, მაგრამ... ოჰ, შენი, შენი... (აღტაცებით უკოცნის თვალებს, ლოყებს, ტუჩებს. თითქოს ჩაჰკვდა).

**სალო** (უნდა რაღაცა უთხრას, მაგრამ ვერ ახერხებს, ენა ებმის მოჭარბებულ გრძნობისაგან, ვნება აღძრული ეგვრის) გივარგი... ჩემო... ჩემ ხარ...

**გიორგი** ... მაგრამ, დროებით მაინც, ჩვენი ამბავი არავინ უნდა შეიტყოს.

**სალო** მე დაფარულ არა მაქვის რაიმე მაგრამ როგორც გერჩივნოს... ჩემ კაც გითხარ, ცხორშია, მთაჩი მწყემსად, ერთ კვირას არ მოვალის...

**გიორგი** შოთა სათავეშია...

**სალო** (ღიმილით) ალების ცეკვაზე... ეგ ნახევარ გიჟია: ამ ქვეყნის არაფერი სწამს.. ქალის ყადრი არ იცის, მარტო ალებს შესტრფის, ტყისა და წყაროს ალებს, გათენებისას თუ მოვა დათენთილი... შენ კი... (ჰკოცნის) გვირგვინო გვირკვინისაო, მარტო ჩემი ხარ, ჩემ... (ჩაეხვევა) წამიყვა, წამიყვა...

**გიორგი** ოჰ, როგორ მინდა შეგჭამო, შეგხრა, რომ მარტო მე მეკუთვნოდე, მარტო ჩემი იყო...

**სალო** შენი ვარ, შენი... (კიდევ უფრო მაგრა ეხვევა)

**სიმღერა** (შორიდან მოისმის ფშაურ კილოზე მძიმე და ერთკილოიანი *)

ფშაველი ვარ და ფშავს წავალ,
იქა მყავს დედის ძმანები,
დისწული.. დედის ძმათასა
სკამს უკითხველად დავჯდები.
თუ ეს დედის ძმას ეწყინოს,
ის სამიმც ოხრად დარჩების...

ამბობენ: ფშავლებს ლაშარი
რარიგად დაუბერდათო!
დაბერებასა ვინ სჩივის,
ნეტამც არ მოუკვდეთაო...

(ქოხიდან მოისმის ბავშის ტირილი. მცირე ხნის შემდეგ მოხუცი ქალის ხმა)

---

*) ხალხური გაგონილი ვანო ლაშაურისგან.

**ხმა** (მოხუცი ქალის ქოხიდან) სალო, რა ძილქუშ დაგეცა, ბავშ მოკვდა ტირილით!

(შერე აკვნის რწევა და მოხუცი მანდილოსნის გაბმული ერთკილოვანი ნანისებური ხმა, თითქოს აჩუმებსო ა ა ა ა...)

**გიორგი** (ყურს მიაპყრობს) რაღაცა ხმაა .. ბავში ტირის...

**სალო** ის ჩემ ბავშ არ არის, ჩემ ქმრისაა, ძალით რო მიმათხოვეს... აი, ჩემ ბავშ ის იქნეშის — შენგან რო შემეძინების...

**გიორგი** (კიდევ უფრო გრძნობით მოეხვევა) ჩემო სულო, სულზე უტკბესო!.. (მოისმის ჭოტის ხმა, შემდეგ ძაღლის ყმუილი. — შემკრთალი) ეს რას ნიშნავს?

**სალო** თავის თავ ამოიჭამოს!

(მთვარე ღრუბელთ მოეფარება, ჩამობნელდება, ბუჩქის ძირას ოდნავ სჩანან ერთმანეთს ჩახვეულნი გიორგი და სალო, შორით გამოჩნდება შოთა, საით-ც წავიდ)

III იგინივე, **შოთა**

**შოთა** (მოილაპარაკებს) ბუნების საიდუმლოებას ველარ მივუსწარ, ალების ცეკვა ვერ ვნ... (მთვარე ოდნავ გამოანათებს, შოთა უცებ თვალს მოჰკრავს ბუჩქის ძირას ჩახვეულთ, თვალებზე ხელს გადისვამს) ძილში ვარ თუ... რა მემართება? (გადასდგამს რამდენსამე ნაბიჯს, მთვარე დაჭკამკ შებს, ჩახვეულთ მიეპარება, უცებ იქვე მიყუდებულ ჩაჯ ხს დასტაცებს ხელს) ოჰ, თქვე ძაღლებო, გველებო... (სალო გაუსხლტება, მაგრამ ზურგ-შებრუნებულ გიორგის გულში დასცემს ნაჯახის ყუას. გიორგი ხმის ამოუღებლად დაეცემა, შეკრთება, გაიძგაბება. შოთა სალოს გამოუდგება, ძაღლი შეჰყეფს, ქოხიდან ბავშის ჩხავილი მოისმის)

**ხმა** (ქოხიდან) შე სახელგასაწყვეტო, სად გაჰქრი, ბავშ გაიჭაჭა...

**შოთა** (შემობრუნდება ქაქანით, გადაფიორებული, შეშლილივით) ძაღლს ძაღლური სიკვდილი!.. (მივარდება გიორგის უსულო გვამს, გადააბრუნებს, უყურებს წაუგდებს) აღარ არის, აღარ!.. ძმაო, ეს რა ჰქმენ, რა მიყავ, რაო? ერთმა ძუკნამ როგორ მოგვღორა!.. (მთვარე კაშკაშებს. შოთა წამოიჭრება, მიმოიხედავს, იადონისა და შაშვის ხმა, წყაროს ჩხრიალი; შოთა თავისთვის, თითქო საიდუმლო ხმას ეხმაურებაო, გაშტერებული)

აჰა, ცეკვავენ ალები..
რა რიგ გაუბამთ ფერხული...
სიცოცხლე ჯოჯოხეთია,
სიკვდილი ტკბილი, ფერისრული!..
ხა, ხა, ხა!..

ძეო ადამისაო, ვინ მოგცა ნება შესწყვიტო ძაფი სიცოცხლისა — გვირგვინი ბუნებისაო!.. მან შეურაცხმყო, შემცოდა — დამნაშავე იყო, მოკვდა კიდეც, მე კი? — (დასტაცებს ხელს გიორგის თოფს, ლულის ტუჩს პირში მიიბჯენს, ფეხით ჩახმახს ჩამოჰკრავს; თოფი იგრიალებს, შოთას გულა ასკდება, უკან გადავარდება, ერთს ხელს გაიქნევს და მოკვდება. იადონი და შაშვი თავის ხმაზე შეურთხიალდებიან და ხმაურით გაფრინდებიან)

ფ ა რ დ ა

იოსებ იმედაშვილი




**სახელმწიფო თეატრში** მარტის 22 პარიზის გრანდ ოპერის მსახიობ მომღერალი მიხეილ დარიალი (ნანობაშვილი) პირველად გამოვიდა ოპერა „ვერტერ"-ში.

„ვერტერი" მოსაწყენი ოპერაა: მასში არც ბალეტია, არც ისეთი გარეგნული მხატვრული სცენები, რომელიც იპყრობს მსმენელის ყურადღებას. მსახიობი მეტად ნიჭიერი უნდა იყოს, რომ ე ოპერა გააცოცხლოს. მომღერალი მომხიბლავი ხმის პატრონი უნდა იყოს, რომ მსმენელს არ აგრძნობინოს ის ნაკლი, რომელიც ამ ოპერას აქვს.

ბ. ნანობაშვილი სწორედ ასეთი მომხიბლავი იყო. ნანობაშვილს ფრანგული სკოლა აქვს გავლილი, რომელიც ჩვენი საზოგადოებისთვის უცხოა. ეს სკოლა მომღერლებისგან მხოლოდ სიმღერას მოითხოვს. ეხლა კი იმ სკოლამ სულ სხვა სკოლას დაუთმო ადგილი: ახალი სკოლა ითხოვს ოპერის მომღერლისაგან, როგორც სიმღერას, ისე თამაშს.

ნანობაშვილი, როგორც ძველი მომღერალი, ჯერ — ჯერობით ვერ დაშორებია ამ სკოლას. საერთოდ უნდა ვსთქვა, რომ ნანობაშვილი ინტელიგენტი მომღერალია.

ასეთი მომღერლები ჩვენში ნაკლებათაა.

ნანობაშვილის რაული „ჰუგენოტებ"-ში (აპრილი 2) რაღაც არა ჩვეულებრივი იყო. თამამად შემიძლია ვსთქვა, რომ ასეთი რაული დიდი ხანია არ უნახავს თბილისის საზოგადოებას.

ეს ოპერა ისეთი ძნელი სასიმღერო და სათამაშოა, რომ მომეტებული ნაწილი მსახიობებისა, ან სტოვებს, ან კრინით ამბობს იმ ადგილებს ოპერისას, სადაც საჭიროა ხმის სიმაღლე და სიძლიერე. ნანობაშვილმა უმთავრესი ყურადღება ამ ადგილებს მიაქცია: მან ისეთი ძლიერი ხმა გამოაჩინა რომელსაც არ ელოდა და რომელმაც განცვიფრებაში მოიყვანო ლამსწრე საზოგადოება. ყოველივე მისი არია აღტაცებას იწვევდა საზოგადოებაში და საზოგადოებაც ტაშით აჯილდოებდა ღირსეულ მომღერალს.

საჭიროა ჩვენმა ახალგაზრდა საოპერო ძალებმა დაკვირვებით ადევნონ თვალ ყური ყოველს მის მოქმედებას სიმღერას, როგორც ფრიად განსწავლულ-გამოცდილ მსახიობს.

**ტენორი.**

---

**ქართულ კლუბში** მარტის 9 სტუდენტებისაგან შემდგარმა დასმა კ. ანდრონიკაშვილის რეჟისორობით წარმოადგინა კონ. ანდროს პიესა „სიზმარი კოშკში" და შარჟი ორ შალიკოსი „ლალატი". პირველი პიესა ეფექტიანია და მოითხოვს მხატვრულ დადგმას. ამის გამო ქართულ

კლუბის სცენაზე ვერ დაიდგმის ამნაირი პიესები. აღმასრულებელნი სუსტობდენ. მ. ჭიაურელმა თავის როლში ერთფეროვნება და უგულობა შეიტანა. მ. გელოვანმა როლი არ იცოდა. რევოლვერსაც სცენაზე ნუ უჩხაკუნებს, რადგანაც სცენის გარედან ავმიანებენ გასროლას. ა. ქიქოძის ქალიც უეფექტო იყო ამ ეფექტიან პიესაში. კვლავ დაბალი ტონი, საზოგადოებას არ ესმის სცენაზე მსახიობთა ლაპარაკი, სამაგიეროდ შარჟმა „ღალატი“ მხიარულად ჩაიარა და აღმასრულებლებმა ბევრი აცინეს საზოგადოება. **ჯილალი**

---

**მეორე ქართულ კლუბში** კვირას, 26 მარტს შალვა დადიანის თაოსნობით წარმოდგენილი იქმნა „სამინელი მურის ძიება ანუ შვილი თუ საყვარელი?“ და „დედაკაცის ათას ერთი ტშირება.“ ორივე პიესამ საუცხოო ანსამბლით ჩაიარა. წარმოდგენა გათბარი იყო ჭეშმარიტი ხელოვნური ცეცხლით, ბუნებრივი განცდით. მონაწილეობდენ შალვა დადიანი (როსტომი და უსეინ), ელო ანდრონიკაშვილი (სირინოზ და ფატმა), აბდუშელიშვილი (ავთანდილ და ხაფიზი) და თარალაშვილი (მურმან და ჰასან). განსაკუთრებით ბუნებრივი მხატვრული იყო ელო ანდრონიკაშვილი. დაესწრო დიდ ძალი საზოგადოება და ორივე პიესამ კარგი შთაბეჭდილება დასტოვა მამასახლისთა საბჭო მადლობის ღირსია ასეთი უფასო წარმოდგენების დადგმისთვის. დასმა თუ ასეთი სიბეჯითით განაგრძო მუშაობა დიდს სიყვარულს დაიმსახურებს. **კენტი**.

---

**საარტისტო საზ.—თეატრში**. მარტის 17 შალვა დადიანის გამოსამშვიდობებლად გაიმართა წარმოდგენა. დაიდგა მისივე ისტორიული პიესა „გვაგვაქორი“ და ვოდევილი „ქალის მე-1001 ცბიერება“. ისტორიულ პიესის სანახავად რომ მადის ქართველი საზოგადოება, უმეტეს ნაწილს წარმოდგენილი აქვს „ღალატი“-სთანა პიესა. ეს შემცდარი აზრია. „ღალატი“ კლასიკურ პიესად გადაიქცა და კლასიკურ პიესების შექმნა ძნელია არა მარტო ქართველ ბში, არამედ უცხოელების შორისაც. საერთოდ ისტორიულ პიესების წერა უფრო რთულია, ვიდრე თანამედროვე ორიგინალურების. და შალვა დადიანის ორიგინალური პიესები უფრო ცოცხლათ და მხატვრულად დაწერილია. მაგრამ არც ისტორიულ პიესებისათვის უღალატნია. და პიესა „გვაგვაქორი“ ამისი აშკარა დამამტკიცებელია. წოდებრივი ბრძოლა საშუალო საუკუნოებში და გლეხთა წოდების დროებით დამარცხება, აი უმთავრესი ფაბულა პიესისა. ტიპებიც დახატულია. ვიმეორებთ „გვგვაქორი“ კარგი პიესაა, მაგრამ კარგათ ვერ ჩაიარა. ამ საღამოს შალვა დადიანი ასრულებდა მთავარ დადიანის როლს. ჩვენი ხელოვნების თავადმა უნაკლულოდ და ისტორიულ სიმართლით დაგვიხატა სამეგრელოს მთავარ დადიან როლი. მ. გელოვანმა გვგვაქორის როლში მრავალ ფეროვნობა შეიტანა. ამ ნიჭიერ ახალგაზრდას ხელს უწყობს საუცხოვო ხმა, მიმიკა და სკოლა. ვასაძეც მოგვეწონა შავჯიას როლში. დამაკმაყოფილებლად ასრულებდენ ფრონისპირელი და მატარაძე, თუმცა უკანასკნელმა როლი არ იცოდა. ქარაულელ დავითაშვილისას შვენიერად უხდებოდა მეგრელ ახულის როლი. მისი თამაშის ბუნებრიობა და ტემპერამენტი მაყურებ ის მოაჯადოებდა, რომ მეორე მოქმედებაში არ გაეცივებინა. ნ. დავითაშვილი ნამდვილი ქართველი მსახიობია, მაგრამ ამ საღამოს მთლიანობა დაარღვია „ქალის 1001 ცბიერება“-შიაც მოგვეწონა შალვა დადიანი. მას მხარს უმშვენებდენ ელო ანდრონიკაშვილი, ფრანგიშვილი და თარალაშვილი. საზოგადოება მრავალი დაესწრო. ვუსურვოთ, შალვა დადიანს მალე მორალური და ფიზიკური განკურნება და კვლავ დაბრუნება საყვარელ ხელოვნებისადმი. **ბარიტონი**.

---

**ავჭალის აუდიტორია** წარსულს ჩაბარდა ის დრო როცა ისტორიული პიესები „და—ძმა“, „სამშობლო“ და სხვა ასეთები ხალხს იზიდავდა, მასსასაც აკმაყოფილებდა. ასეთი პიესები მაშინ იყო დროს შესაფერი, როცა ჩვენი სამშობლო ნიკოლოზის მუხრუჭ ქვეშ სულს ღაფავდა და საჭირო იყო ჩვენში, ქართველებში ეროვნული იდეის გაღვიძება, საჭირო იყო დათოს თუ პაპუნას სცენაზე დანახვა, რომ სამშობლოს სიყვარული გაგვღვიძებოდა და მის გასანთავისუფლებლად გვებრძოლა. დღეს? დღეს სულ სხვა დროა, დღეს საქართველო თავისუფალია, ქართველი ხალხი ბედს თვითონ ჭედს და ამ დროს ჩვენ გვინდა გონებით განვითარება, ამ დროს მასსას ესაჭიროება თანამედროვე დრამა, თანამედროვე ცხოვრების სცენაზე გაშუქება. ჩვენდა საუბედუროთ ჩვენი ძველი დრამატურგები სდუმან, ახალს არაფერს იძლევიან, რაც უხერხულ მდგომარეობაში აყენებს ქართველ მსახიობს და რეჟისორს. თანამედროვე პიესების უქონლობის გამო იძულებული არიან ისევ ისტორიული პიესებით გაგვიმასპინძლდენ. რაც ხალხს ძალზე მოსწყინდა. მე ხშირად გამიგონია საყვედური: „ქართულ წარმოდგენებს აღარ ესწრება ქართველი საზოგადოება, რუსულს უფრო ეტანება“ო. მართალია ქართველი საზოგადოება აღარ ესწრება ქართულ წარმოდგენებს, მაგრამ ამას აქვს მიზეზები და ეს მიზეზები გახლავსთ ახალი, ორიგინალური, პიესების უქონლობა, მოწყინდა ასჯერ „სამშობლოს“ თუ „ღალატის“ ნახვა.—ასეთი ისტორიული პიესით გაუმასპინძლდა საზოგადოებას 28 აპრილს რეჟისორი პ. ფრანგიშვილი ავჭალის აუდიტორიაში და ამ პიესამ უკანასკნელად კიდევ დაამტკიცა, რომ ხალხი ახალ რამეს მოითხოვს. დადგეს „თამარ ბატონიშვილი“, რომელსაც ოცდა ათიოდე კაცის მეტი არ დაესწრო. ამის გარდა უნდა აღვნიშნოთ, რომ თვით მსახიობთაც თუ სცენის მოყვარეებს მოსწყინდათ ისტორიული პიესები რაც ნათლად სჩანს მათ უგულო თამაშიდან. დ. ჩხეიძე (არღუთაშვილი) და უ. ჩხეიძე (ერისთავი) პირველ მოქმედებაში ძალზე მოისუსტებდენ. უ. ჩხეიძეს აკლდა ტემპერამენტი განსაკუთრებით მაშინ, როცა დანიშნული მას ბეჭედს მიუგდებს. ნასყიდაშვილი (მეფე) არ ვარგოდა. არც ტანადოპა არც მიხვრა—მოხვრა ხელს არ უწყობდა. ძალიან კარგი იყო ივერიელის ქალი (დედოფალი) მან სავსებით გადმოგვცა ვნებით აღვსილ დედოფლის ტიპი. პ. ფრანგიშვილისაგან მეტს მოველოდით (შალვა) უ. ჩხეიძე კარგი იყო მესამე მოქმედებაში. ყოველთვის კარგია და თამრის როლშიც კარგი იყო ვ. გვაზავა. **ჟუჟუნა**.

---

**მუშათა ცენტრ. კლუბში** აპრილის 3-ს პირველად დაიდგა „ელეონორა“ ალ. ყაზბეგის მოთხრობიდან კ. გერგესელი მიერ გადმოკ. დრამა 3 მოქ.

ყაზბეგის მოთხრობიდან აქ მხოლოდ დარჩენილა შინაარსი, ფაბულა. თუ ალ. ყაზბეგმა პატარა მოთხრობა „ელენორაში“ მოათავსა მთიელთა ზნე-ჩვეულებანი, გერგესელმა თავისი ლამაზი სტილით აკინძა, გაამშვენიერა, ყაზბეგის გმირებს უკვდავი სული ჩშთაბერა და სასცენო

ტეხნიკის სრულის შეგნებით, უკვდავ სახეებათ ჩამოყალიბებული ქართველ საზოგადოებას სცენაზე სახილველად წარმოუდგინა. ავტორს ამ სფეროში დიდი ნიჭი ეტყობა, ვუსურვებთ მას წინსვლასა და წარმატებას.

აღნიშნულ პიესაში მთლიანად დაცულია მშიერთა თავმოყვარეობა... სიყვარულის ძალა... და მისთვის თავ განწირვა... სულის გმირობა... შეურაცხყოფისათვის ქალური შურის ძიება... ამ ნიადაგზე იწყება და თავდება მთელი პიესა.

აღმასრულებელთა შორის ი. ჯულელმა (ვახტანგ ხელთუბნელი) საერთოთ ვერ შესძლო დაეძლია პასუხსაგები როლი, რეპლიკებთან მიმიკა ვერ ჰქონდა შეფარდებული. მარ. კალანდაძისას (ელეონორა) ფრიად პასუხსაგები როლი ჰქონდა; ეტყოდა, რომ მ. კალანდაძისა ამ უკანასკნელს გრძნობდა მაგრამ ზოგ ალაგს როლის სირთულე ვერ სძლია, პირველ მოქმედებაში მოისუსტებდა: ჩვეულებრივი ტონი როდესაც ის ასლან გირეის კარებსკენ უჩვენებს ძლიერ დაბლა დაუშვა. გაათრთება... თავმოყვარეობის შელახვა... თავ-დავიწყებიდან გამორკვევის შემდეგ მან მკრთალად დაცინვად გადმოვცა, სამაგიეროდ 2—3 მოქ. კარგი იყო, სასცენო ნიჭი ხელს უწყობს, მხოლოდ ხმა კი არ ემორჩილება. დ. აბდუშელი (ასლან გირეი) მსახიობია და მეტი მოეთხოვება. არ იცოდა როლი, ზოგჯერ ავტორის მონოლოგებში თავისი სიტყვები შეჰქონდა. ხშირად იმეორებდა იმერულ კილოს „რომე“ რაიც მას საგმ რო სიტყვებს ძალაზე აფერმკრთალებდა, უკანასკნელ მოქმედებაში არა უშავდა. კ. კრავეიშვილმა (ლევ. კრეჭიაშვილი) რამდენიმეთ შესძლო გადმოეცა სულით მაღალი, გარეგნულად მახინჯის ყველასგან აბუჩად აგდებული ადამიანის ტიპი. კარგი იყო და ტიპიურიც პირველ მოქმედებაში. სასცენო ნიჭი ემჩნევა, ხმაც ხელს უწყობს. მ. ლეკვიშვილი (ისმაილ) შესაფერი გასხვრება იყო, უნდა ერიდოს მხოლოდ ხელების ქნევას ალაგს მიხვრა—მოხვრას. საერთოდ პიესა გვარიანად ჩატარდა... მოველოდით კი მეტს.

**დ. ბაისოშვილი.**

---

**მოშათა კლუბში** კვირას, აპრილის 4 ს არ. გოგინაშვილის თაოსნობით გაიმართა დიდი საღამო. წარმოდგენილი იქმნა მისივე ახალი ისტორიული პიესა „სამშობლოს შვილი“. პიესა აზრიანი გამოდგა. ხალხი ბლომად დაესწრო. ბევრი უბილეთობით უკან დაბრუნდა. წარმოდგენამ კარგად ჩაიარა. დამსწრე საზოგადოებამ გამოიწვია ავტორი და ვაშა—ტაშით დააჯილდოვა. სრული შემოსავალი გადაიდო, ქ. გორის მიწის-ძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ.

**დამსწრე.**

---

**ერთობის უბნის მუშათა კლუბში** კვირას, აპრილის 4 ს წარმოადგინეს „თებრონე“ 1 მ. 3 სურ. ს. ილორელისა. რაღაცა მიზეზით, გამოცხადებისა მებრ, აღარ წარმოადგინეს „ჯერ დაიხოცნენ მერე იქორწინეს“ არც სიმებიანი ორკესტრი და დივერტისმენტი იყო, აუკციონით და სხ. წარმოდგენამ შედარებით კარგად ჩაიარა. იმედი ვიქონით, რომ მომავალში ახალგაზრდობა საზოგადოების წინაშე დაპირებას შეასრულებს და უსიამოვნო შემთხვევას ადგილი არ ექნება.

**ფ.—ლაზი.**

---

**დრამატიული საზოგადოების დაარსება ქალ. ახალციხეში.** სცენის მოყვარეთა დასის „ხელოვნების“ თავმ. ამხანაგის მოქ. ლევან ფალავას თაოსნობით სახაზრო ერობის დარბაზში მარტის 30 შესდგა ახალციხის ქართ. დრამ. საზოგადოების დამაარსებელთა კრება ნიკო ჩიმაკაძის თავმჯდომარეობით ლ. ფალავას მდივნობით.

ლ. ფალავამ მოკლეთ მოახსენა დამსწრე საზოგადოებას, რომ ქ. ახალციხეში აუცილებლათ საჭიროა დაარსდეს დრამატიული საზოგადოება და სხ.

მესხი კოსტა გვარამაძემ საზოგადოებას მოახსენა ქ. ახალციხეში სცენის მოყვარეთა წრის დიდი ხნის არსებობის შესახებ. მან ნათლად გააშუქა, თუ ძველი რეჟიმის დროს რა მძიმე, აუტანელ პირობებში უხდებოდა მუშაობა ზემო აღნიშნულ სცენის მოყვარეთა წრეს, მიუხედავად მრავალი შევიწროებისა, მაინც პერიოდულათ სდგამდა წარმოდგენებს და მით ქართველ საზოგადოებას სულიერათ ასაზრდოებდა. დიდი ხანია აზრათ ჰქონია დრამატიული საზოგადოების დაარსება, მაგრამ ომიანობისა და სხ. მიზეზის გამო ეს მიზანი დღემდე ვერ მოუყვანიათ სისრულეში.

აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ კრებამ ერთხმად მიიღო წინადადება დრამატიული საზოგადოების და რსებრის შესახებ.

ფარული კენჭის ყრით არჩეულ იქმნენ: ნ. ჩიმაკაძე, ლ. ფალავა, ო. ერემოვისა, ლ. ხუციშვილი და ავალიშვილი, რომელთაც დაავალა კრებამ ერთ კვირაში წარმოადგინონ წესდება.

გულითადი სიხარულით აღვნიშნავთ, ორი სცენის მოყვარეთა წრის (სცენ. მოყვარ. „ხელოვნების“ და ქალაქის ძველი ნაწილის—რაბათი) შეერთებას და აქ, საქართველოს—სიბრძნის აკვანში, ძველი მესხეთის დედა—ქალაქ—ახალციხეში დრამატიული საზოგადოების დაარსებას. სულითა და გულით ვუსურვებთ ნაყოფიერ მუშაობას საერთო სამშობლო—საქართველოს—ასაყვავებლათ და ქართველი ერის საკეთილდღეოთ.

**მესხი პავლე გურგენიძე.**

---

**ქ. ხაშურში** რამდენიმე კვირის წინათ მოწინავე ამხ. ინიციატივით მოწვეული იყო მოქალაქეთა კრება, სახალხო უნივერსიტეტის საძირკვლის ჩასაყრელად. თუ რა მნიშვნელობა აქვს სახალხო უნივერსიტეტს დემოკრატიის განავითარებლად, ხალხში რამდენიმე ამხანაგმა ახსნა, განსაკუთრებით ადგ. გიმნაზიის დირექტორმა შალვა მხეიძემ, რომელიც მთავარ ინიციატორად ითვლება ამ მეტად სიმპატიურ დაწესებულების. კრებამ აირჩია გამგეობა (ჩხეიძე, ვასო ზაქარეიშვილი, ბედია ყაჭეიშვილი და სხ.), ამ საქმის ტეხნიკურად მოსაწყობად. გამგეობამ მოიწვია ცნობილი ლექტორი ალ. გარსევანიშვილი, რომელმაც მარტის 16 მუშათა რკინისგზის კლუბში ლექცია წაიკ. სახალხო უნივერს. მნიშვნელობაზე. ლექტორმა ილაპარაკა, პოპულიარული ენით, სახალხო უნივერსიტეტის ისტორიაზე, მის წარმოების განვითარებაზე და სტატისტიკური ცნობის მოყვანით დაგვიხატა სურათი, თუ სად რომელ წელში გაჩნდა სახალხო უნივერსიტეტი, რამდენი წევრი ჰყავდა, როგორ ეპყრობოდენ და რა ცოდნას აწვდიდა მსმენელს პირველ ხანებში. ლექციით საზოგადოება კმაყოფილი დარჩა.

**საჭამიასერელი.**

---

**სად. გომში** გასულ ზაფხულს შესდგა ადგილობრივ სცენის მოყვარეთა დრამატიული წრე, მუდმივი დასით ადგილობრივ ძალთაგან. დასში არიან: ქ-ნი—ანნა ელიო-

ზიშვილისა, მასწავ. ქალი ლ. მალალაშვილი—კოხრეიძისა, მარო მალალაშვილის ასული; ბ-ნი ნიკ. ელიოზიშვილი, ი. ლევ. დავითაშვილი, შალვა მაჭარაშვილი, გ ჩაჩანიძე და სხ. მარტის 14 აქ დაიდგა იოსებ იმედაშვილის „ზამთრის პირზე“ და „ხორველობა“ ვ. გუნიასი. ორივე პიესა ხალხს ძლიერ მოეწონა. წინად დ იდგა: უშნო არშიყი“ და „რეპეტიცია“, „ჯერ დაიხოცნენ—მერე იქორწილეს“ და სხ. სცენა მოწყობილია—კავშირის საგანგებო დარბაზში. სცენას თანდათან აწყობენ ჯერ ჯერობით ეტევა 300-დე მაყურებელი. განუძრახავთ დარბაზის გადაკეთება. ხალხი მიეჩვია წარმოდგენებს, წრის ხელმძღვანელნი არიან: ნ: ელიოზიშვილი შ. მაჭარაშვილი და ივ. ყაველაშვილი.

**ი.—რი.**

——

**ქ. ბაქო.** ვინც ბაქოს ქართველ საზოგადოებას ცოტათი მაინც იცნობდა, ექვს გარეშეა დამეთანხმება, რომ თეატრალურ საქმეს ყოველთვის დიდის ყურადღებით ეკიდებოდა, მართავდა სეზონებს: იწვევდა რეჟისორს, ერთ მსახიობ ქალს მაინც და ადგილობრივი სცენის მოყვარეთა დახმარებით უძღოდა ბოლომდე ქართულ წარმოდგენების საქმეს. სამწუხაროდ დრონი იცვალნენ და ორი—სამი წლის განმავლობაში ბაქოს საზოგადოებას ერთი ხეირიანი ქართ. წარმოდგენაც არ უნახავს. ალბათ ამით ხელმძღვანელობდა ქართული დასი რომ ეწვია ბაქოს 30 მარტს. დასში იყვნენ: ქ. ბ. აბაშიძე დ., ანდრონიკაშვილი, ჩერქეზიშვილი, ბ. ბ. დადიანი შ., ჟღენტი, ლამბაშიძე, ჯიქია, ციციშვილი, ფრანგიშვილი, ჩაგუნავა, მატარაძე და სხ. პირველი წარმოდგენა გაიმართა „კოლეიზის“ თეატრში „სტუმარ—მასპინძლობა“ ტრ. რამიშვილისა. სამწუხაროდ, მიუხედავათ იმისა, რომ პიესა ახალია, ორგინალური და მსახიობთაც კარგათ აქვთ ეს კომედია მომზადებული, ხალხი ძალზე ცოტა დაესწრო. მაინც პიესა გამეორებულ იქნა „თურქ—ოჯახის“ თეატრში. ზოგიერთების რჩევით, მაგრამ საზოგადოება მაინც არ გამოჩდა, კიდევ ნაკლები დაესწრო. . . მსახიობებმა იფიქრეს: ალბათ „არშინ—მალ ალანი“ უნდათო, რომელიც დადგმულ იქნა, მაგრამ ამაზედაც დეფიციტი. . . მართალია მიზეზები იყო, როგორც მაგალითად: ხალხში შიშია, ღამე სიარულისა ეშინიათ, წამდაუწუმ რაღასაც მოელიან, მაგრამ უნდა აღვნიშნოთ, რომ თუ ზოგს ჩვენ ვხედავდით უბნებიდან მოსულებს ქართ. წარმოდგენაზე, არ სჩანდენ ისინი, ვინც ყველაზე მეტს გაიძახის სამშობლო ხელოვნების სიყვარულზე და აღორძინებაზე. . .

— ქართულ სკოლის მესამე სართული ერ. საბჭოს მეთაურობით კეთდება დიდ დარბაზად, რომელშიც გამოყოფილია სცენა, საკმაოდ მოზრდილი, სადაც შესაძლებელი იქნება პიესების დადგმა. მუშაობა სწარმოებს და აღდგომის უქმეებიდან სურთ დროგამოშვებით მოეწყოს ქართული წარმოდგენები, ლექციების კითხვა და სხვ.

— ოპერის ანტრეპრენიორი ამირაგოს დასი სწყვეტს თავის სეზონს, ვინაიდან შემოსავალი დღე დღეზე კლებულობს და დეფიციტი ძალზე მატულობს.

— გამოცხადდა ანონსი—მსახიობქალის ყიხარევასი, რომელიც ამ დღეებში ჩამოვა მთელის თბ. „ტარტოს“ დასით, რეპერტუარში აქვთ პირველად „ოკეანეს გადაღმა“ „მამულ—დედული“ და სხვ.

**ვ—ე**

——

**სახელოსნო კლუბში** მარტის 25 პ. ფრანგიშვილის რეჟისორობით სცენის მოყვარეთა წრემ წარმოადგინა ვ. გუნიას მიერ თარგ. „უბ დური“. წარმოდგენას გამოცდილი და მცოდნე ხელი ემჩნეოდა. გვაზავას ასულმა საუცხოოდ დაგვისურათა პეტრას ყოფა—მდგომარეობა და სულიერი ტანჯვა. შ. გომართელს ყოველივე—ახოვანება, გამოთქმა, განცდა—ხელს უწყობს სასარგებლოთ მსახიობი შეიქმნეს: კეთილშობილი მარციალი კიდევ უფრო გააკეთილშობილა კეთილშობილი აღსრულებით. პ. ფრანგიშვილმა მკაფიოდ გამოკვეთა გაიძვერა ფარისეველი სანჩო: მსახიობი შესამჩნევად გაზრდილა. ივერიელი გამოცდილი მსახიობქალია და ანჟელიკას სახეც სრულის სინამდვილით განასახიერა. ჩხეიძე (პრეფექტი) დაკვირვებული სცენის მოყვარე სჩანს, ოღონდ ხელების ხმარებას უნდა შეჩვევა. პირველ მოქმედებაში თითქო არ იცის ხელებს რა უყოსო, მესამეში ყოველივე მხატვრულად აღასრულა. ბურჭულაძე (მსაჯული) და ჩხეიძე (მსახური) ანსამბლს ხელს უწყობდენ. საერთო ნაკლი: სანჩოს, პრეფექტოს და მსაჯულს პარიკები უშნოდ დაედგათ; ფარდის უკანიდან ყვირილი, ისიც რუსული რეპლიკებით უხამსობდა. საერთოდ წარმოდგენამ კარგი შთაბეჭდილება დასტოვა თეატრის შეჭრელებულ სავსე დარბაზზე. ხელოსანთა კლუბს ვუსურვებთ ხშირად დაედგათ ასეთი წარმოდგენა.

**უხავანო**

——

**სად. შორაპანში** რკინის გზის პროფესიონალურ კავშირთან არსებული კულტურა—განათლების კომისია, თანახმად ცენტრალურ კულტურა—განათლებას კომისიის გადაწყვეტილების, უკვე შეუდგა მუშათა კლუბის თეატრის აშენებას.

ძველ თეატრში უკვე სწარმოებს სისტემატიური წარმოდგენები და კონცერტები.

კონცერტების დადგმას ხელმძღვანელობს სახალხო მომღერალი სანდრო კავსაძე, რომელმაც ამ მიზნით მოამზადა რკინის გზის მუშა-მოსამსახურეების გუნდი და შეასწავლა სხვა და სხვა სიმღერები.

სანდრო კავსაძე მასწავლებლად ითვლება ადგილობრივ რკ. გზის სკოლაში და უნდა ითქვას სიმართლე, მას დიდი ღვაწლი მიუძღვის როგორც სკოლაში აგრეთვე გუნდის მოწყობაში—გარეთ.

ამ გუნდმა უკვე გამართა კონცერტები სხვა და სხვა ადგილებში შორაპნის მაზრაში.

**სკლიარი.**

# წვრილი ამბები

**ნოე ჟორდანიას სრული თხზულებანის** გამოცემის უფლება შეიძინა ქართული ბეჭდვის ამხანაგობამ. დაიბეჭდება 15 ტომად. წიგნს დაერთვის ავტორის სურათი, ბიოგრაფია და სხვა და სხვა მოგონებანი. წიგნის აწყობას უკვე შეუდგნენ.

**ამ მოკლე ხანში** ქართულ კლუბში სადღესასწაულო კომისია მართავს „თეატრი და ცხოვრება“-ს 10 წ. აღსანიშნავად დიდ სამხატვრო—სალიტერატურო საღამოს შემდეგი შინაარსით: 1. „ნამუსიანი ხალხი“ პიესა ი. იმედაშვილისა, 2. სალიტერატურო განყოფილება ქართველ მწერლების მონაწილეობით, 3. კონცერტი: სხვა და სხვა გუნდი, სოლო, მუსიკა ევროპიული, ქართული და აღმოსავლეთური. 4. დ. არაყიშვილის ოპერა „თქმულება შოთა რუსთაველზე“ მე 2 მოქმედება. 5. იუმორი და სხ. მონა-

წილეობას მიიღებენ დამსახურებულნი ქართველი დრამის და აგრეთვე საოპერო მსახიობნი. ბილეთების ყიდვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული ასეთივე საღამოების გამართვა განუზრახავთ სხვაგან

❊ **მოსკოვის სამხატვრო თეატრის** მსახიობთა წარმოდგენები დაიწყო სახელმწიფო თეატრში ჩეხოვის „ალუბლის ბაღით“. წარმოდგენა თუმცა ისეთი არ იყო, როგორიც სახელი აქვთ, მაინც დიდი მოვლენაა ჩვენი ხელოვნების სპარეზზე: ამ დასმა ნათლად გვიჩვენა, ურთიერთზე როგორაა გადახლართული ცხოვრება და ხელოვნება და რანაირ შემოქმედებით უნდა სახიერდებოდეს პიესა. დაესწრო აუარებელ რჩეული საზოგადოება

❊ **ვნების კვირაში სახელმწიფო თეატრში** სახალხო გვარდიის ცხენოსან დივიზიონის კულტურულ—განმანათლებელ სექციის ღონისძიებათა გასაძლიერებლათ გაიმართება წარმოდგენა საკონცერტო განყოფილებით. წარმოდგენაში მონაწილეობას მიიღებენ დრამატიულ სტუდიის არტისტები, საკონცერტო განყოფილებაში კი დაუკრავს დივიზიონის სამხედრო ორკესტრი კომპოზიტორ ფოცხვერაშვილის სხვა და სხვა კომპოზიციას.

❊ **ი. სამანის** თხზულებანი იბეჭდება და ამ მოკლე ხანში გასასყიდათ გამოვა.

❊ **კ. გერგესლის** მიერ ალ. ყაზბეგიდან გადმოკეთებული „ელეონორა“ ჩვენს ჟურნალში დაიბეჭდება:

❊ **სახალხო გვარდიის** კულტ. განმ. არსებული დრამ. წრე ფრონტზე გაემგზავრება „ელეონორას“ და „ქართველი დედას“ წარმოსადგენად.

❊ **კულტ. განამნ.** სექციამ (სახალხო გვარდიის) გადასდო ათასი არსებული თეატრის გადასაკეთებლად ყველა ნაწილებისთვის ცენტრალური თეატრის მოსაწყობად.

❊ **აპრილში გამოვა** სამხატვრო-სალიტერატურო ჟურნალი „მარტი აპრილი“ №2—3. ჟურნალი „თებერვლის“ გაგრძელება.

❊ **არჩილ მაჭავარიანმა** დასწერა ალმოსავლური ბალადა „სიცოცხლის ზღაპარი“, რომელიც წაკითხულ იქმნა ერთ-ერთ სალიტერატურო წრეში და მოუწონეს.

❊ **კოოპერატივთა კავშირმა** ქართულ სამუსიკო საზოგადოებას შესწირა ნახევარი მილიონი მან.

❊ **ქალაქის თვითმართველობამ** შესწირა ამავე საზ. 50000 მან.

❊ **ხონში** დაარსდა სამუსიკო სკოლა და საზოგადოება.

❊ **ქართვ. მთმლ. პროფ. კავშირთან** შესდგა ინსტრუმენტალური სექცია ქართულ ორკესტრის დასაარსებლად.

❊ **სამ. საზ. შენობაში** აპრილის 4 გაიმართა საყურადღებო კონცერტი. დაესწრო მრავალი საზოგ.

❊ **განსვ. ნ. სულხანიშვილის ოჯახს** (ცოლი და ოთხი წვრილი შვილი), რომლის მდგომარეობა უმწეოა, პაილიაშვილის ინიციატივით „კახეთი“ს საზოგ. გადასცა 3000 მ. თელავის კლუბმა 5000 მ. „კახეთი“-ს საზოგ. ითავა აგრეთვე განსვენებულის ყველა ნაწარმოების გამოცემა.

❊ **მწერალთა ყრილობა** გაიხსნა აპრილის 4 ქარ. კლ. დარბაზში.

❊ **ახალი პიესა** დასწერა სვ. წერეთელმა „კეთხვის ნიშანი“, რომელიც ითარგმნება რუსულ ენაზე. პიესაში გამოყვანილია თანამედროვე ქართ ოჯახის დრამა.

❊ **მ. ნანობაშვილის გასტროლებმა** სახელმ. თეატრში საზოგადოების აღტაცება გამოიწვია

❊ **აზიური ოპერეტა** „გულნარა“ დასწერა ა. კლიმიაშვილმა.

❊ **ახალი პიესა** დასწერა ჯაფარ რაჭელმა, სათაურით „დედა და შვილები“ ძლვნად განუყრელ ძმებს ქართველ ჩაჭმადიანებს, 3 მოქ.

❊ **მივიღეთ ახალი წიგნი** „გამოსადეგი ცნობები რკინის გზის ოპერაციების რევიზიისთვის, დ. ცინცაძის მიერ შედგენილი, წიგ, 55 გვ.

❊ **რედაქციას** მრავალი მილოცვის წერილი და დეპეშა მოსდის „თეატრი და ცხოვრება“ს არსებობის ათის წლის შესრულების გამო. ყველა ეს მასალა საგანგებო ნომერში დაიბეჭდება

❊ **ხელის მომწერთ ვსთხოვ,** ვისაც ფულის შემოტანა აკლია—დროით შემოიტანონ, წლიურმა ხელის მომწერლებმა ჯერჯერობით 300 მანეთამდეს უნდა შეავსონ, ნახევარ წლიურმა 180 მ. ახალმა ხელის მომწერლებმა უნდა შემოიტანონ 500 მ.


პირველი ხარისხოვანი რესტორანი

# შამპანი!

**ამხ—ბა ძმათა კერესელიძების და ბაქრაძეთა**
(რუსთაველის პრ. სახლი გორელაშვილის № 16)
**ერთი საუკეთესო რესტორანთაგანი დემოკრატიის სასტუმროდ.**

საუზმე და სადილი ქართლური, იმერული, ევროპიული, აზიური მზადდება საუკეთესო მზარეულის თავდგომით, სასმელები ყოველნაირი.
რესტორანში უკრავს სიმებიანი ორკესტრი.
(წლიური)

# უ ც ხ ო

## სიტყვათა ლექსიკონი

შედგენილი იოსებ იმედაშვილის მიერ; მეორე შევსებულ-შესწორებული გამოცემა.

**ფასი 150 მან.**

**გაწერვა შეიძლება „თეატრი და ცხოვრებიდან“**

10—2



რედაქტორ-გამომცემელი **იოსებ იმედაშვილი**

სტამბა ქართველთა ბეჭდვითი ამხანაგობის, რუსთაველის პრ., № 26.